



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1498
15/08/2018

ქალაქი ბათუმი

1498-05-4-201808151652



ნადიმ ბოლქვაძის - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის განყოფილების IV რანგის I კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის საკითხებში თანამდებობაზე სოფელ ერგესა და ზედა ერგეში დანიშვნის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს - საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“-ს საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 43-ე, 45-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 თებერვლის №09 დადგენილების, თეიმურაზ გაწერელიას 2018 წლის 31 ივლისის №2202-05 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი 2018 წლის 28-29 ივლისის „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის (ღია კონკურსი ან დახურული კონკურსი) ჩატარების უზრუნველსაყოფად შექმნილი საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი №3“ - საოქმო გადაწყვეტილებისა და ნადიმ ბოლქვაძის 2018 წლის 14 აგვისტოს №11038/05 განცხადების საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. 2018 წლის 15 აგვისტოდან დაინიშნოს ნადიმ ბოლქვაძე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის განყოფილების IV რანგის I კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის - ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის საკითხებში თანამდებობაზე, სოფელ ერგესა და ზედა ერგეში, 12 თვით გამოსაცდელი ვადით.

2. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა